საქართველოს პრემიერ-მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N168 2023 წლის 19 სექტემბერი ქ. თბილისი

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრთა დანიშვნის თაობაზე

„ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესის“ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) წევრებად დაინიშნონ:

ლალი კალანდაძე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს თავმჯდომარე);

ნანა ათუაშვილი – World Vision International-ის საქართველოს ფილიალის რეგიონალური მენეჯერი და სოციალური სერვისების სუპერვაიზორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

მარინე ბაიდაური – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი;

ხათუნა დოლიძე – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი სკოლამდელი განათლების მიმართულებით; ადრეული და სკოლამდელი განათლების ექსპერტი;

ნინო გიუაშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის – „დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის“ კონსულტანტი;

მაკა მაისურაძე – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის სურსათით ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების სამმართველოს უფროსი;

ნინო ლაბარტყავა – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის „სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის“ მენეჯერი (საბჭოს მდივანი);

გულნარა დვალი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის (გარემოს მედიცინა, ეპიდემიოლოგია, სამედიცინო ეკოლოგია) დარგში.

ირაკლი ღარიბაშვილი